ორი დროშა

პატარა ხიდს რომ გადაივლით, გზა აღმართს მიუყვება. ოდესღაც არჩევნებისათვის სატვირთო მანქანით ხრეში მოიტანეს და ფაშარად დაყარეს, რომ უამინდობაში მანქანებს შესძლებოდათ აღმართში ასვლა ...კეთილმოწყობის პირქვედასამარხ ზაურას კიდე არ ემეტებოდა - უკმაყოფილოდ იქნევდა ქვევრის სარეცხელასავით გაბურძგნულ თავს და გაბრაზებული ჯავრს მეგზეევეებზე ყრილობდა...იმათ რა, რასაც დაავალებდნენ, ასრულებდნენ დაუზარებლად, წვიმაში, ხვატში, ყინვასა და ქარში... ეხლაც დიდი ნიჩბები მოემარჯვებინათ და გამალებით სცლიდნენ „უაზს“, რომელიც კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ და უკან ხრეშის ბორცვებს ტოვებდა.

- ამ ათიოდე გამოყვანჩარებული მოხუცისთვინ ე ამოდონა ხარჯი რისთვის გამაწეინეს...მე შენ გეტყვი და, საარჩევნო უბანზე მომსვლელია რომელიმე... კიდე იქით, ბინაზე უნა ეახლო, „ეპოჟოლუსტო “, და ან მოგცემს ხმას, ან -არა, - ქოთქოთებს ზაურა და მძღოლს, „ჟიკლიორა“ ფიროს თვალით ანიშნებს, ცოტა მოუჩქარე, თორე დაგვიღამდებაო...
- სიღარიბის დაძლევა და ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნა, - ეგ არის ჩვენი მთვარი ამოცანაო, ეგრე სთქვა მერობის კანდიდატმა, ჩემი ყურით მოვისმინე ემწინებზე, ჰოდა, კაკრაზ, საარჩევნოდ ამი მოგვარება განა ამ ათიოდე გამოყვანჩარებულ მოხუცს არ უნდა?! -იკრიჭება მძღოლი ფირო და თვალს უკრავს ზაურას.
- შენა მეეშვი ამ პოლიტიკის წერასა და გაზს მიადგი ფეხი, თორემა მე ვიცი შენი!...კუმ ფეხი გამოჰყოვო!...
- ჰოო...ჰოოო. პენალტი დამარტყმეინეთო!- ისევ იკრიჭება ფირო და თამამად აჩენს სიმინდივით ჩაყვითლებულ. დიდრონ და მეჩხერ კბილებს.

შორს ბუზისტოლად შარაზე მტვერი ავარდა და მალევე თეთრი, ქვიშისაგან ფერნაცვალი ჯიპი გამოჩნდა რომელსაც მსხვილი ლათინური ასოებით რომელიღაცა არასამთავრობო ორგანიზაციის სახელის აბრევიატურა და ლოგო ამშვენებდა . ჯიპში მზით გარუჯული ახალგაზდები ისხდნენ, ერთი, ასაკით ოდნავ უფროსი, აშკარად ხელმძღვანელს ჩამოჰგავდა, ახალგაზრდები ინგლისურად ხალისიანად საუბრობდნენ და დროდადრო გულიანად სიცილს მოაყოლებდნენ მანქანაში მოშიშინე რადიოს ინფორმაციებს ... ზაურას და „უაზს“ რომ გაუსწორდნენ, მინა ჩამოსწიეს და ერთ-ერთმა, ფოტოაპარატებით დახუნძლულმა და ფანჯარასთან ახლოს მჯდარმა იკითხა : ანტენააანთკარი აქეთ არისო?... გაჰკვირდა ზაურა, ეგონა ყველანი უცხოელები იყვნენ, არადა იმ ბიჭმა სუფთა რაკრაკა ქართულით არ დაუსვა კითხვა ...ზაურამ ცოტა ხანს ადროვა და მერე ჩაიცინა:

-თქვენა, ეტყობა ანეტაანთკარს ეძებთო...

ახალგაზრდასაც გაეცინა და თავი დაუქნია, მაგრეაო , ზაურამაც მიასწავლა და ჯიპმა მშვიდი რწევით განაგრძო სვლა, რა ენაღვლებოდა რა, ორხიდიანი საუკეთესო ფირმის მანქანა იყო, გზებზე თამამად ნავალი და ათასგზის გამოცდილი...

-მოსცლიათ რა ამ ქალაქელებს!...ან რას ადიან, ან რას ჩადიან ?! ... - ზაურამ სიგარეტის ნამწვი „ბათინკის“ სქელი ლანჩით გასრისა და წყლის მათარა ხარბად ჩაცალა:

- აბა, დროით...დროით...დასცხებს ეხლა თქეშს და მეყოლეთ მემრე ვარდებივით ...

ზაურას ჯინსის უკანა ჯიბეში, აი „ტრაკის“ ჯიბეს რო ეძახიან, მობილურმა გაიზუზუნა...

ბიჭებმაც მოუჩქარეს და როცა ცამ პირი შეკრა და წვიმის მსხვილი წვეთები დაეცა მზით გამომშრალ დედამიწას, უკვე სამშვიდობოს გასულნი , „უაზის“ ძარაზე ახტნენ და ზაურას კრეჭვით ახარეს:

-უფროსო, მაღარიჩი შენზეაო...

-მაღარიჩი არა, ბუღლამა, - გაცხარდა ზაურა, - ენდე, ბადურა რეკამს, სასწარფოდო, უნდა გასჩნდე ანეტაანთკარშიო, უცხოელები და მაღალი სტუმრები მოდენილან და საქმეა დასაწყებიო... ეგე , წეღან რომ აიარეს ქალაქელებმა ჯიპითა, ეგენი იქნებიან ასპროცენტიანი ... მოკლედ, მე ეხლა წავედი და მემერე ცხვარსაც დაგიკლამთ და იმი ბატკანსაც ...

-ჰოოო, შენ სუ ეგერე გვპირდები და მესამე ჩაქაფულობა ჩაგვიხტუნე ...- ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ გიგომ და დამტვერილი ფეხსაცმელი მზისგან გადაყვითლებულ ბალახს გაუსვ-გამოუსვა...

- მესამე არა, მეათე... ეხლა ამათ საქმეს მოვილევ, მემრე არჩევნებს მოვიგებთ და კაი ჩაქაფული და ბოზბაში ჩემზე იყოს, აჰა, ჩაარტყი ცაცი...

ზაურამ გამურული მარჯვენა გაუწოდა გიგოს...

-ეეეჰ, ამ ერთხელაც სიტყვაზე გენდობი, მაგრამა, ახლა ბოზბაშს მკვდარი უნდაო, არა სთქვა მემრე...

ბიჭებს გაეცინათ... ზაურამ „ნწ,ნწ,ნწუო!“ - გაიქნია თავი უკმაყოფილოდ და

-„მასხარა ხარ და მასხარად მოკვდებიო!“ გამოსცრა და მანქანა ამოქოქა...

-არ დაიფანტნეთ, სანამ მე არ გეტყვით, გაიგე?! -გადმოსძახა ღია ფანჯრიდან და გაზს მიადგა ფეხი ...

. . .

ანეტაანთკარში დიდი ქოთქოთი და ღრიანცელი დაუხვდა ზაურას ... დიდ-პატარაობა სოფლის რწმუნებულის ოფისთან შეჯარულიყვნენ და იყო ერთი გარჩევა-ბჭობა-მსჯელობანი... მოხუცებულები ხის გრძელსა და ბევრი სიძველისა და ხშირი ჯდომისაგან გაპრიალებულ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ ბუებივით, და ჯოხზე დაყრდნობილნი, მეტწილად ხვნეშოდნენ და ოხრავდნენ, ქალები ცნობისმოყვარედ ათვალიერებდნენ ერთმანეთსა და გარეშეებს, ბალღები „ველოსაპეტებს“ დაარიხინებდნენ, ზოგი სამთვლიანს, ზოგი ორთვლიანს, ზოგიც კიდე „სკუტერს“ რო ეძახიან, იმას... რწმუნებული ომარა, პირხმელი, შავ-შავი, სამაჩბლოს ომში შვილმკვდარი მამა, დოინჯშემოყრილი იდგა ორსართულიანი შენობის პირველი სართულის შესასვლელთან და ხელით იჩრდილავდა მზერას , რომელიც მტვრიანი გზისაკენ იყო მიმართული ...აშკარად ყველანი სტუმრების მოლოდინში იყვნენ ...

-„ეტყობა გზა თუ აერიათ იმ ტაშფანდურებს“, - გაიფიქრა ზაურამ, რომლისთვის ჟურნალისტები, ამ არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლები და იმათი დონორები სუ ტაშფანდურა ხალხის სახელით სარგებლობდა...

-„მაგათ რა ენაღვლებათ?!... ექვსი საათი გახდება თუ არა, ტაბელ გადააბრუნებენ და წავლენ თავ-თავის გზაზე... ჩემთვინ კიდე არც შაბათია და არც კვირა, არც მკვდარია და არც ცოცხალი...ინდე, ნოშრეს ბიჭის ქორწილში ვერ წაველ, მერმა, სამყაროი ბანკი ჩამოდისო და დანარჩენებიც იმათ მოსდევენო, ეს ინფრასტრუქტურის ხალხიო, ეს „ემგეეფიო“, ეს „ევროკავშირიო“...სტრატეგიულ საგზაო კვანძზე ვზივართო ... რა დროს ნოშრეს ბიჭი და იმი ქორწილიაო?! ...სხვა პერსპექტივები მოელის ჩვენს ხალხსაო და შენც სახელმწიფოებრივად უნა იაზროვნოო... ესაო-ისაო, მოკლედა, რა!...ბაბო გიცხონდათ, სუ იმაზედა ჰკიდია ქვეყნის ბედი, მე ნოშრეს ბიჭის პურ-მარილში ხაშლამას შევჭამ თუ არა... მესამე თვეა ქვევრის გადაღებას ვგეგმავ და ის ვერ მომიხერხებია ამათ გადამკიდე, ჭაჭას შვება მივცე და ქვევრი მემრისისთვინ მაინც გავამზადო...საცაა მოვიდა კარზე შემოდგომა და ეგ არი! ... გავიდა მარტიც, აპრილიც, მაისიც, ივნისიცა და ნახევარი ივლისიც ... ეხლა ახი არ არი, ამოტრიალდეს ე ღვინო და დამტოვოს პუპლუც?!...“

ამ ფიქრებში გართულს, თავზე მარიკა წამოადგა, გამგებლის თანაშემწე, სამჯერ თავისით შინიდან გაპარული და ორჯერ უკან მობრუნებული და მაინც კეკლუცად მოარშიყე, სოფლის ტურფად აღიარებული და ბირჟის ბიჭების ბედისწერა :

-„გამგებელმა გამომგზავნა, საცაა სტუმრები მოვლენ და სკამებია კლუბიდან გადმოსატანი და ბიჭები დაგახმაროსო“...

-ბიჭები რა?!- განა დაბმულები მყვანან? ინდე, ჩავხოცე ხალხი გზის მოხრეშვაში და ვინაა ერთი მადლობის მთქმელი?!...

-მე ის გითხარ, რაც დამაბარა და დანარჩენი, შენი საქმისა, შენ იცი! - წითელპომადად სქლად დაფერილი ბოტოქსიანი ტუჩი აიმრიზა მარიკამ და გათქვირული თეძო-გავის ნელი რწევით გაეცალა ზაურას...

ზაურამ ერთი კი გააყოლა თვალი მარიკას განიერი თეძოების რწევას, მაგრამ უფრო გაბრაზებულმა, ვინემ ვნებით აღელვებულმა, „თფუი!“-ო გადააფურთხა და გამეტებით დაჰკრა თითი მობილურის კლავიატურას... რა უნა ექნა?- ისევ გიგო და ბიჭები უნდა გამოეძახნა ,ეს მშიერი და ჯამაგირს მომლოდინე ბიჭები, სუ ერთიან რო ჩახოცა საგზაოში და ვინ იცის, არჩევნებამდე რამდენი ეგეთი დიდი და მცირე დავალება ელოდათ...

-ბიჯო, უნა მოხვიდეთ, თანაც სასწრაფოდ, ინდე კლუბიდან სკამებია გადმოსატანი და მარიკას უნა გაჰყვეთ... ეხლა „წელი მტკივა“ და „იშიაზი“ მაქ, არ ვიცი... ითქვა და უნა გაკეთდეს! ...

ზაურამ ტელეფონი ხელის ერთი დაკვრით გათიშა და ხალხში გაერია...

- ზაურ, შვილო, ხო არ იცი, რისთვინ დაგვიბარეს? - შეაგება ღიმილი დარო ძალომ...-თანაო, სუფთად გამეეწყეთო, ჩით-ჩუთები და საშინაო ფლოსტები არ შეილებაო...
- ეხლა უნა მოვიდნენ ინვესტორები და მაღალ-მაღალი ხალხი, დღეს ასფალტი უნდა დაასხან საზეიმო ვითარებაში, მემრე კიდე სხვა სიკეთეებიც იქნება, მზის ბატარეებს დაგვიერთებენ ბაგა-ბაღში, კლუბში, სკოლაში, ამბულატორიაში, ჰოდა, რაც უფრო კოხტებსა და დახატულებს გვნახამენ, უფრო ლამაზად დაგვისხამენ ასფალტს და სხვა ინწკლი-პანწკლო რამე-რუმეებიც წამოვა უხვადა...
- ვაიმეეე, სუ ეგრე ღლაბუცში უნა ამოგძვრეს სული?!- გაეცინა დარო ძალოს და ქოქოლა მიაყარა ზაურას და ის იყო, პასუხი უნდა დაებრუნებიდა ქალისთვის
- ზაურ- მოდი აქა, დაუძახა გამგებელმა ...რანაირად იცი დაკარგვა?!

- მეეე? გაიოცა ზაურამ, -მე რა ვიცი, ინდე , გზაზე ვარ გამოდებული დროშასავით და ყოველ წერტილიდან ვჩანვარ...
- ჰოდა, დროშასავით ხარ და დროშის საქმე უნდა მომიგვარო, - ომარამ თვალი თვალში გაუყარა ზაურას, ე მანდ, უარის თქმა და შეკამათება არც კი გამიბედოოო...
- ეხლა კიდე დროშა! ემსაათში სკამებისა მითხრა მარიკამ და დროშისა მე არაფერი ვიცი...რა დროშა , რის დროშა?!
- საცაა ხალხი მოვა, ჩვენ კიდე ჯერ არცერთი დროშა გამზადებული არა გვაქვს...
- დროშა? კარგი რა, ჯემალიჩ, რომელ დროშაზე მელაპარაკები? რომელი პროტოკოლის სამსახური მე მნახე?!
- ეხლა შენა ხარ პროტოკოლიცა და პროკურორიცა...მოკლედ, ორი დროშა უნდა აღიმართოს -ერთი ჩვენებური ხუთჯვრიანი და მეორე თორმეტვარსკვლავიანი, ევროკავშირისა... ხო იცი, ეხლა რა საერთაშორისო ვითარება გვაქვს სამეზობლოში?!...რამხელა მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის პროექტებს ჩვენთვინა?!
- ჰოო, ვიცი, მემრე?!
- მემრე ისა, რო თხუთმეტ წუთში უნა ამოთხარო ორი ორმო ღერძისთვინა და სანამ სტუმრები მოვლენ ჩემი აივნის წინ ორივე უნა ფრიალებდეს, გაიგე?!

  ზაურამ კეფა მოიფხანა და ტრაქტორს გახედა ...
- აი, სულ ტყუილად გაჰყურებ ტრაქტორს... მაგას ტრაქტორი რად უნდა, ბიჯო, კაი პირალესილი ბარი და იმი ჯანი... ბიჭებს დაუძახე და რკინის რესორების ჩარჭმაში დაგეხმარებიან ...დროშები კიდე მარიკას აქვს, გასაუთოვებლად გავატანე და გამოართვი და გავწკეპოთ ჩვენებურადა...სირცხვილი არა ვჭამოთ ამოდონა სტუმრებში და მასპინძლებში... სხვა რო არა იყოს რა, მსოფლიო იმიჯია, იმიჯი!
- იმიჯი და ამიჯი არ ვიცი, შენ ის მითხარ, ჯერ რომელი უნდა დავაყენო -ჩვენი თუ იმათი?!...
- ეგ როგორა?
- როგორა და , გააჩნია საიდან უნდა შეხედონ სტუმრებმა- ეხლა თუ აივნიდან უნა იყოს სიტყვებში გამოსვლები და, როგორცა ვხედამ, მიკროფონები მაგრე გაქვთ დადგმული, სტუმრები აივანზე უნდა ავიდნენ და იქიდან მიესალმნენ მასპინძლებს...ეგრე არ არი?
- ეგრეა, მაგრამ რო მოვლენ და მანქანებიდან გადმოვლენ, პირველს რასაც თვალში გაატარებენ ეს დროშები იქნება...ეგრეა?
- ეგრეა!
- ჰოდა, თუ ეგრეა, აქედან თუ ჯერ ევროკავშირის დროშას დავაგებთ და მემრე ჩვენსას, იქიდან რომ შეხედავენ, ხო ჯერ ჩვენსას მოუწევს ფრიალი და მემრე იმათსას?

- ჰოოო... ეგ კი არ მიფიქრია, ხო იცი...დაფიქრდა ომარა...- ვისა ვკითხოთ, ვინ გვეტყვის სისწორეს?
- მე ორმოები მომკითხე, მაგისა არაფერი გამეგება, - ჩაიცინა ზაურამ და საგონებელში დასტოვა ომარა, რომელიც რომელიღაც წერტილს მიშტერებული, ინერციით ისრესდა ხელებს...ეგრე იცოდა, რო განერვიულდებოდა, ჯეელობაში აკიდებული ჭინჭრის ციება დააყრიდა და სტანჯავდა ფხანითა და ციებ-ცხელებითა...

. . .

„ჭინჭრის ციება და დოზანა! ...„ცენტრის "დავალება კიდენა დავალებაა და ყველამ იცის, ეგეთ დროს როგორ უნდა იმოქმედოს"... მართლაც რაღაც ნახევარ საათში ამოთხრილი ორმოები და დროშის დასაგები ღერძები მზად იყო... მარტო ყოჩაღი და ჯიგრიანი მუშახელი აკლდათ...ბიჭებიც მალევე მოგრიალდნენ „უაზით" და სტუმრების გამოჩენისთვის სოფლის რწუნებულის ომარას „რეზიდენციის" წინ ამაყად გაიფრიალეს საქართველოს ხუთჯვრიანმა და ევროკავშირის თორმეტვარსკვლავიანმა დროშებმა , და, ჰოი, საოცრებავ, თვალსა და ხელშუა ომარას ჭინჭრის ციებაც დაცხრა და როცა სტუმრების ავტომობილებმა მტვრის კორიანტელი აადინეს სოფლის ქვა-ღორღით დაფარულ გზას, მოგროვილი ხალხი უმალ გაირინდა, ომარას სენივით დაშოშმინდა და ერთ მხარეს მიმართა მზერა. ისეთი ცოცხალი სურათი გამოცხვა, ნებისმიერ ფოტოგრაფს რო შეშურდებოდა და დიდი ლოდინიც არ დასჭირვებიათ, ერთ-ერთი მანქანიდან ჟურნალისტების გუნდი გადმოიშალა და ატყდა ფოტო-ობიექტივების ჩხაკა-ჩხუკი. მარიკა ჩვეული პლასტიკით მიმოირწეოდა სტუმრებს შორის და შინაურსა და გარეულს, გამორჩეულად მამაკაცებს, მასპინძლის, ცოტა დაღლილი, მაგრამ ხაზგასმული თავაზიანი და „პამადიანი" ღიმილით ასაჩუქრებდა. ჭეშმარიტი ქალი იყო და ქალურად თავისას ცდილობდა, კეკლუცობდა, როგორც შეეძლო ისე ახდენდა თავის სამშვენისების დემონსტრირებას - განა წარა-მარაა ამგვარი თავყრილობა ანეტაანკარში?!... ისკიარადა, მისმა გამოკვართულმა „ტანის გიტარამ" ერთი ფოტოკორსეპონდენტის ყურადღება საგანგებოდ მიიქცია და ახალგაზრდა ქალი პერსონალურ კადრში მოხვდა კიდეც... ერთმანეთში ირეოდა ქართული და ინგლისური ფრაზები, რეპლიკები. ჩინოვნიკებს სულ იოლად გამოარჩევდით სტუმრებს შორის განსაკუთრებულად არასეზონური, ოფიციალური ჩაცმულობითა და არაბუნებრივად დაჭიმული, სუფთად აპარსული კისრებით.

-ხო, მაინც მოვასწარით, ჯემალიჩ?!“- ზაურამ ომარას შესცინა და ხელი გაუწოდა, აქაოდა ჩამირტყიო“, იმან კიდე ჭინჭრის ციებიან ხელისგულს დახედა, რაღაცა ჩაიბურტყუნა და მერის მოადგილისაკენ ისარივით გააჭრა.

-აბა, გაგვიძეხი, ომარ! - დაუძახა მოადგილემაც, შინაურულად, თბილად, ღიმილით და ომარას მთელი დაძაბვაც სადღაც გაქრა, აორთქლდა...

დაიძრა ომარა როგორც ომში მიმავალი პატარა კახი, ეხლა თუნდა კოხტა ბელადს მოსჭრიდა თავს, უდრეკად, შემართებით და მიჰყვა სტუმარ-მასპინძლების გუნდი როგორც რო ფუტკრის სკა...გუბერნატორი ღიმილით ართმევდა ხელს ადგილობრივებს და ესალმებოდა იმგვარი ნაცნობი ღიმილით, თითქოს სახელობითად სცნობდა რომელიმეს. მერე ბავშვებისაკენ დაიხარა და ერთ-ერთს, დაროს კალთაზე აკრულ სამი წლის წვინტლიან და დიათეზიან თედოს ავარვარებულ ლოყაზეც კი მოუთათუნა ხელი. ფოტოობიექტივებმაც მყის აღბეჭდეს ხალხოსნობის ამსახველი სამახსოვრო კადრი. დარომ დრო იხელთა და რაღაც დაწერილი ოთხად გაკეცილ ფურცლად გადასცა მაჟორიტარს. დარო თანმხლებმა მამაკაცებმა ბავშვიანად მკვირცხლ გვერდზე გასწიეს და თვალების ბრიალიც მიაყოლეს, მაგრამ მიუხედავად შეშინებული თედოს გაბმული ჯღნავილისა, ქალი მაინც კმაყოფილი დარჩა, რომ ჩაფიქრებული არ გაუმტყუნდა და საქნარი მარჯვედ გამოუვიდა.

ომარას რეზიდენციის წინ სახელდახელო პრეზიდიუმი მოეწყოთ. იქვე აპარატურა დაემონტაჟებინათ საველე მიკროფონებით. მაგიდაზე ლურჯი ტილოს სუფრა გადაეფარებინათ და სკამები შემოერიგებინათ, ბოთლით წყალიღა აკლდა კომპოზიციას და მარიკამაც არ დაახანა და ცივი წყალი ერთჯერადი ჭიქების თანხლებით ჩაამწკრივა მაგიდის გასწვრივ. ცხელოდა და ოთხი ხელი ერთდროულდა დასწვდა ბოთლებს...

შეხვედრა დაიწყო... ჯერ საქართველოს და ვეროკავშირის ჰიმნები დაუკრეს და ხალხიც ფეხდგომელა გაირინდა, მერე სიტყვებში გამოსვლის ჯერი დადგა და რადისტმა ბიკენტამ კარგა ხანს ასწორა ხმის ტემბრი, რადგან აპარატურამ დინამიკებიდან ფონი აიღო და თითო სიტყვა ექოსავით მეორდებოდა მთელს არე-მარეში...გუგუნებდა ანეტაანთკარი, მთები ბანს აძლევდნენ ...

-„მოგეხსენებათ, კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი ფაქტორი არის სხვადასხვა საწვავის, განსაკუთრებით კი, წიაღისეული საწვავის ჭარბი მოხმარება... ...ხმარება...ხმარება... - მოძღვრავდა უცხო ტომის ჟღალი ორატორი მსმენელ აუდიტორიას... საუბრობდა რიხით და თავდაჯერებით და აინუშშიც არ აგდებდა აპარატუიდან აღებულ ფონს, რომელიც ექოდ გაისმოდა აზიდული მთების საუფლოში...

ფრაზას რომ ჩააგრიალებდა, ღიმილით გადახედავდა ოდნავ შემკრთალ თარჯიმან ქალბატონს, რომელიც პატარა ფურცლებზე ინიშნავდა მომხსენებლის სიტყვებს და მცირედი ბორძიკითა და მზარდი მღელვარებით თარგმნიდა გაგონილს:

-„ ატმოსფეროში ნამწვი აირების რაოდენობაის ზრდა კი იწვევს ეგრეთ წოდებულ „სათბურის ეფექტს“ და საშუალო გლობალური ტემპერატურის ზრდას ...ზრდას...ზრდას“...

„სათბურის ეფექტზე “ თარჯიმანი წამით შეყოვნდა და მომხსენებლთან გადაამოწმა ნათქვამის არსი და დარწმუნდა რა საკუთარი აზრის სისწორეში, მორჩილად განაგრძო სინქრონი...

-„დადასტურებული ფაქტია, რომ კლიმატის ცვლილება ადამიანებზე მრავალმხრივ ზეგავლენას ახდენს ფიზიკური ჯანმრთელობიდან დაწყებული ეკონომიკურ მდგომარეობამდე და სოციალურ სტაბილურობამდე....ბამდე...ბამდე“...

-რო ვამბობ, რაღაცა ხდება ბუნებაში და სახსრებიც სხვანაირად მტეხამს ხოლმე, მასხარად მიგდებენ... რაო, ვითომ, გვეშველება რამე?!- ქოთქოთებდა დარო: - ეხლა ამ მეფისტოლა ხალხის სიარული უშველის ჩემს სახსრებსა?...

-უშველის, სახსრებსაც უშველის და უსახსრობასაც, ბებო!- ღიმილით დაამშვიდა მაჟორიტარობის კანდიდატმა...

-იჰჰჰ!... მემრის გეტყვი, აქ რომ მოიხვალ , ხმა მამეციო!

ხალხს აქა-იქ გაეცინა, ომარამ ერთი მკვახედ რაღაც ჩაიბურტყუნა და არწივის რისხვიანი მზერით გადახედა თანასოფლელებს, ემანდ რამე ოღრაშულად არაფერი დასცდეთო... ამასობაში ის ჟღალი ორატორი ახალმა გამომსვლელმა შეცვალა, ცქვიტმა და მოხდენილმა ახალგაზრდამ ევროპული იერითა და გაპეწილი იმიჯით...ზაურამ უმალ იცნო ის ახალგაზრდა გზაზე შემხვედრ „ჯიპიდან“ და გახარებულმა, როგორც ძალიან შინაურს, ტაში შეაგება და პირი ყურებმადე გადახსნა ღიმილით...

-ეგა ყოჩაღი ბალღი სჩანს, იგრე სხლამს ინგლისურად, მე უცხოელი მეგონა და ჩვენებური არ გამოდგა?!-გაუზიარა ომარას თავისი სიხარული...

- „სოფლის მეურნეობაში გვალვები და ამინდის არასტაბილურობა ამცირებს მოსავლიანობას!...-ამბობდა ახალგაზრდა და ექოც უდასტურებდა ბეჯითად : „ ამცირებს მოსავლიანობას!“....და მოითხოვს ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩანაცვლებას!...კულტურების ჩანაცვლებას!... სუფთა , მტკნარი წყლის რესურსებზე წვდომის შემცირება...წვდომის შემცირება... ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავება...გაღრმავება..მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები..ჯგუფები....ყველაზე მეტად ზარალდებიან...ზარალდებიან... ბუნებრივი კატასტროფები, სტროფები...საცხოვრებელი

გარემო, რემო,...გახშირებული წყალდიდობები, ობები... მეწყრები და გვალვები ...ალვები... საფრთხეს უქმნიან ადამიანების სიცოცხლესა და საკუთრებას...რებას... მყინვარების დნობა ობა...ობა...და ზღვის დონის მატება ება...ება იწვევს სანაპირო ზოლების ცვლილებას და შედეგად წარმოიქმნება ...იქმნება...იქმნება ...მოსახლეობის იძულებით გადაადგილების საჭიროება“... ოება...ოება...ება...ება...ბა!“...

ორატორისაგან სათითაო პრობლემის წარმოდგენაზე წამოსცხებოდა ომარას, აუწითლდებოდა ხელები, დაიწყებდა ისტერიულ სრესას და გადაუვლიდა ისევ... მაგრამ მთავარი განსაცდელი მაშინ დაიწყო, როცა მორიგმა მომხსენებელემა ჯანმრთელობაზე გავლენის უკუეფექტები ჩამოასახელა.

-„ ექსტრემალური სიცხე ზრდის გულისა და სუნთქვის პრობლემების რისკს განსაკუთრებით ბავშვებსა და ხანდაზმულებში...

-ეგე , ვამბობდი?! -სუ ჩვენზე ლაპარაკობენ ... -გაიხარა დარო ძალომ, - ამ ჩემ სახლიკაცს ხო ვერაფერი შევასმინე... ინდე, ბალღებს რო სუ ალერგიები აღონებთ, ჩვენა კიდე ბებრებს წნევები და ინსულტები, რისი ბრალი ყოფილა!...- და დარომ ღონივრად გამოსტაცა დიათეზიან თედოს პირისაკენ გაქანებული მტვერში ამოგანგლული სათამაშო ჟირაფი ჟოზე.

- „ინფექციური დავაადებების გავრცელება, მაგალითად, მალარია უფრო და უფრო ფართო არეალს მოიცავს , რადგან მათი გადამტანი მწერები ახალ რეგიონებში აღწევენ... ჰაერის დაბინძურება და ალერგიების მატება იწვევს ასთმასა და სხვა რესპირატორულ დაავადებებს... - არ ცხრებოდა მომხსენებლი, ცხვირპირხიბლიანი შუახნის მამაკაცი რეპექტაბელური იმიჯითა და დახვეწილი, ოდნავ აქცენტნარევი მეტყველებით... ის ხო არა ცხრებოდა და ყოველი დაავადების ხსენებაზე ომარას ეგონა, რომ ჯეელობაში აკიდებულ ჭინჭრის ციებას ეს დაავადებებიც ერთვოდა, ხან წამოსცხებოდა, ხან ყინვა გაატანდა ძარღვებში და ხანაც ისეთი ტალღა წამოუვლიდა ფხანისა, ლამის დაიგლიჯა მკლავები და იდაყვები... ასე ტანჯვაში გააატარა მთელი დრო, სანამ ყველაფერი არ გასრულდა და გუბერნატორმა იმედის სიტყვა არ შეაგება დასიცხულ მრევლს :

- „მეგობრებო, მჯერა, თავდაუზოგავი და გუნდური მუშაობით ერთად განვავითარებთ ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო ენერგორესურსებს და ტექონოლოგიებს, რათა შევანელოთ კლიმატის გლობალური ცვლილება და ამ ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატაკლიზმები : გვალვა, წყალდიდობები, მეწყერები. ჩვენ თუ არ შევამცირეთ ზიანი, თუ არ დავძლიეთ ენერგეტიკული სიღარიბე ,

თუ არ უზრუნველვყავით მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო ენერგორესურსებზე და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ძალზედ რთული რეალობის წინაშე დავდგებით!.. ამიტომ არიან აქ დღეს ჩვენი მეგობრები და პარტნიორები ევროკავშირიდან და ჩვენ ერთად დავამარცხებთ ყველა გამოწვევას! ძალა ერთობაშია! "...ბაშია! ბაშია! ... გუბერნატორის ეს ბოლო ორი სიტყვა მსმენელთა ხმაურიან ტაშში ჩაინთქა

ხალხის ნაკადმა ახლა ასფალტის დასასხმელად გამზადებულ ტრასისაკენ გადაინაცვლა. ფერად „რენდერებზე" ნათლად იყო გამოსახული, რა და როგორ სახეს მიიღებდა მემრის, ასაკოვანი მაცხოვრებლები, ამ „რენდერთა" ჩრდილს ამოფარებულნი, ინტერესით აკვირდებოდნენ სურათებს და ერთმანეთს უზიარებდნენ კმაყოფილებას. მეგზეევეებმა გუბერნატორი, მინისტრი და კიდე ორი უცხოელი სტუმარი მიიხმეს , თავზე მშენებლების ქუდები მოარგეს და ხელში სიმბოლურად ნიჩბები მომამარჯვებინეს, რომ პირველი ნაკადი კოხტა ბელადის ბედაურივით ყალყზე შემდარი ადუღებულ ასფალტით გადავსებულ მანქანებიდან სწორედ მათ დაეყარათ...ახმაურდა ტექნიკა, არახრახდნენ ძრავები, აჟრიამულდა ხალხი და საერთო ტაში დასცხო და უეცრად საშინელმა გამაყრუებელმა ხმამ ადამიანები ადგილს მიალურსმა- მოპირდაპირე მხრიდან ვეება მთა დაიძრა და, როგორც კინოებშია ხოლმე, ზვავად წამოვიდა ტრასაზე შექუჩებული ხალხისაკენ...ქალებმა და ბავშვებმა წივილი მორთეს, მამაკაცები არადამიანური ძახილით მოუხმობდნენ ერთურთს... დარო ძალოს ხელში აეტატებინა სამი წლის წვინტლიანი და ლოყადიათეზიანი თედო და დახმარებას ევედრებოდა გარშემომყოფთ...შეშინებული მარიკა გუბერნატორს აჰკვროდა ატლასის ჰალსტუხზე და მერის მოადგილე ემუდარებოდა - „ქალბატონო, დაეხსენით, გამოატარეთ ბატონი დავითიო!"... ერთმანეთში აიზილა სტუმარი და მასპინძელი, მეგზევე და ჟურნალისტი, დასასხმელი ცემენტი და ტრასის ქვა-ღორღი, მთა მოიწევდა და საცაა გადაყლაპავდა ადამიანებსაცა და ტექნიკასაც...

„ხალხო, ნუ გეშინიათ, ჩვენთანაა ჩვენი ხელმძღვანელობა, ევროკავშირი! " უნდოდა ეყვირა ომარას, პირს აღებდა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა ხორხიდან ... ხელებს ვინღა დაეძებდა, სუ წამოწითლდი სააღდგომო კვერცხივით...

-ხმა გამეც, ჯემალიჩ ! -ეხვეწებოდა ზაურა, მაგრამ სულ ტყუილად... სტუმრები ერთმანეთს ასწრებდნენ გაქცევას, ზოგი ალთას გარბოდა, ზოგი ბალთას მიიწევდა...

-„ბიჯოოო, მანდეთ არა, მანდეთ რა გინდათ ?! -მანდ ხევია და ჩაგმარხავთ დედა-წულიანა!"

-, უნდოდა ეყვირა ომარას, მაგრამ ამაოდ...

ბიკენტას ახლად შეძენილი ძვირადღირებული პულტი ამოეჩარა იღლიაში და მანქანამდე მიღწევას ცდილობდა, ხალხი არ ატარებდა, მაინც მუჯლუგუნებით იგერიებდა, იჩოქებდა, დგებოდა და ისევ ჯიუტად მიიწევდა ბრბოში... ერთ დროს მოგუგუნე ანეტაანთკარი ახლა ღრიალებდა, ხაოდა და მიწაში დანთქმას გაურბოდა...მაგრამ სად გაექცევი ბუნებას...

. . . „ბუნება მბრძანებელია,

იგივ მონაა თავისა,

ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,

ზოგჯერ მქნელია ავისა;

ერთფერად მტვირთველი არის

საქმის თეთრის და შავისა;

საცა პირიმზეს ახარებს,

იქვე მთხრელია ზვავისა…

მაინც-კი ლამაზი არის,

მაინც სიტურფით ჰყვავისა!..ავისა...ვისა...ისა!...

ყელს იღერებს სტუმრებთან ლექსის სათქმელად გამოსული ქვისნატეხი შაკო - ბუბუნებენ მიკროფონები და ხმა ორდებოდა, ოთხდებოდა და ექოდ უბრუნდებოდა ბიკენტას დინამიკებს...ომარამ ერთხელაც გახსნა პირი, მაგრამ სუნთქვა შეეკრა და მიწის ვეება ტალღამ გადაურა...

-„იიი, შე მიწადასყრელო, შენა!“- გაახსენდა ბავშვობაში მეზობელ ვენერას სიყვარულიანი მოფერება, ათი-თორმეტი წლისა, ქლიავზე რომ აძრებოდა ხოლმე და ქალის ნებართვის გარეშე დააყრევინებდა ჯერაც დაუმწიფებელ ნაყოფს...

ომარამ ერთი კიდევ გაიბრძოლა და ...

. . .

ომარამ თვალი გაახილა, - კაბინეტში პრემიერის სამაგიდე შავ-თეთრ პორტრეტთან თავი ჩაექინდრა და ჩასძინებოდა. თავს ზაურა და მარიკა ედგნენ, მარიკა ვენტილატორს უნიავებდა, ზაურა აჯანჯღარებდა და ჩასძახოდა:

-ჯემალიჩ, რა დროს ძილია, ჰა-და-ჰა მოვიდნენ სტუმრები, ორმოები ამოვთხარეთ და დროშები როგორ გავმართოთ- ჯერ ჩვენი ხუთჯვრიანი დავაგოთ თუ ჯერ თორმეტვარსკვლავიანი ევროკავშირისაო?!...

ავტორი: ფიქრია ყუშიტაშვილი